მე მებრძანა, რომ შვიდ ძვალზე შევასრულო საჯდა

გადმოსცემს იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მე მებრძანა, რომ შვიდ ძვალზე შევასრულო საჯდა: შუბლზე და ხელით ცხვირისკენ მიანიშნა, ორივე ხელზე, ორივე მუხლზე, ორივე ფეხის წვერებზე. და ამეკრძალა ტანსაცმლის და თმების აკეცვა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ალლაჰმა მას უბრძანა ლოცვის დროს შვიდი სხეულის ნაწილით ეხებოდეს მიწას, როცა საჯდას ასრულებს; ესენია: პირველი: შუბლი, რომელი არის ცხვირის და თვალების ზედა სახის ნაწილი, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიუთითა ცხვირისკენ, იმის მანიშნებლად, რომ შუბლი და ცხვირი ერთ ნაწილს შეადგენს ამ შვიდი ორგანოდან. და ასევე იმის დასადასტურებლად, რომ საჯდას შემსრულებელი ცხვირითაც უნდა ეხებოდეს მიწას. მეორე და მესამე ორგანო: ხელის მტევნები. მეოთხე და მეხუთე: მუხლები. მეექვსე და მეშვიდე: ორივე ფეხის თითები. გვიბრძანა, რომ არ შევიკრათ (შევისწოროთ) თმები და არ შევიკრათ (შევისწოროთ) ტანსაცმელი, როდესაც საჯდას შესასრულებლად მივდივართ, ტანსაცმლის ან თმების დაცვის მიზნით; არამედ, დავუშვათ მიწაზე ისე, როგორც არის, და ისინიც შეასრულებენ საჯდას სხეულის სხვა ორგანოებთან ერთად.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/10925